ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №69

2011 წლის 17 ივნისი
ქ. ქობულეთი

ქობულეთი, დაბა ჩაქვში მდებარე 2501 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთი, დაბა ჩაქვში მდებარე 2501 კვ.მეტრი (ს/კ №-20.48.02.068) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვროს 27511.00 (ოცდაშვიდი ათას ხუთას თერთმეტი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ.ქობულეთი, დაბა ჩაქვში მდებარე 2501 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე